



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის და
იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი
დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი
ანრის დირექტორის მიერ (2026 წლის 20 იანვრის სენატის
დადგენილება, ოქმი №02);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის
ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული პროცედურის
შედეგების ან ნორმატიული დოკუმენტების
ცვლილებისას, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა
არსებული პროცედურა.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები.....	5
3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები.....	5
4. ხარისხის შიდა შემოწმების დაგეგმვის პროცესი.....	7
5. ხმს შიდა შემოწმების ჩატარების პროცესი.....	8
6. საქმეთა შემოწმება	12
7. ვერიფიკაციის მეთოდოლოგია.....	14
8. თვითშეფასება	22
9. რესურსები.....	24
10. პასუხისმგებლობის გადანაწილება.....	24
11. ანგარიშის დოკუმენტები.....	25
დანართი 1: ხმს შიდა შემოწმების გეგმა-ის ნიმუში.....	26
დანართი 2: ხმს შიდა შემოწმების ჩატარების პროგრამის ნიმუში.....	27
დანართი 3: ხმს შემოწმების ჩეკ-ლისტის ნიმუში.....	28
დანართი 4: შეუსაბამობის აქტის ნიმუში.....	29
დანართი 5: ხმს შიდა შემოწმების აქტის ნიმუში.....	30
დანართი 6: ხმს შიდა შემოწმების შედეგების ანგარიშის ნიმუში	31
დანართი 7: ხმს შიდა შემოწმების აქტების რეგისტრაციის ჟურნალი.....	32
დანართი 8: საქმეთა შემოწმების აქტის ნიმუში	33
დანართი 9: ხარისხის უზრუნველყოფის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის ნიმუში	34
დანართი 10: ვერიფიკაციის/თვითშეფასების გეგმის ნიმუში.....	35
დანართი 11: სწავლის შედეგის შეფასებამდე შესავსები ფორმა.....	36
დანართი 12: შიდა შემოწმების (ვერიფიკატორის) შეფასების პროცესის ფორმა.....	37
დანართი 13: შიდა შემოწმების (ვერიფიკატორის) შეფასების პროცესის ფორმის	39
დანართი 14: შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის კითხვარის ფორმა.....	41
12. პერიოდული შემოწმების ფურცელი	42
13. პერსონალის პროცედურასთან გაცნობის ფურცელი	43
14. შეთანხმების ფურცელი.....	45



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment

1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე პროცედურა ადგენს:
 - 1.1 ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების და საქმეთა წარმოების, სათანადო მართვის და შენახვის პროცესის შემოწმების თანმიმდევრობას, საჭირო დოკუმენტების მომზადების პროცესს;
 - 1.2 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ფარგლებში შეფასების - ვერიფიკაციის მეთოდოლოგას და პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნით პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესს;
 - 1.3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების პროცესს.
- 2) პროცედურა ვრცელდება შემოწმებების და თვითშეფასების პროცესებში ჩართულ პირებზე;
- 3) პროცედურის აღრიცხული ეგზემპლარები ინახება ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში, ელ.ვერსია განთავსებულია შიდა ქსელში და სასწავლებლის ვებ-გვერდზე;
- 4) საჭიროებისამებრ პროცედურის აღრიცხული ეგზემპლარების დაგზავნას ახდენს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური.

2. ნორმატიული მითითებები

წინამდებარე პროცედურის შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტი;
- 4) ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო;
- 5) ნდ №2-0201-01 „დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა“;
- 6) ნდ №2-0201-02 „შეუსაბამოების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა“;
- 7) ნდ №2-0201 -03 „ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი“.

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

წინამდებარე პროცედურაში გამოყენებულია ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები, რომლებიც მოყვანილია ხარისხის სახელმძღვანელოში და აგრეთვე ნორმატიულ დოკუმენტებში, რომელთა საფუძველზეც შემუშავებულია პროცედურა.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა**

**The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment**

წინამდებარე პროცედურაში გამოყენებული ყველაზე უფრო მახასიათებელი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები მოყვანილია ქვემოთ

3.1 ტერმინები და განმარტებები

- 1) **(ხარისხის) შიდა შემოწმება** - ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმება
- 2) **ხარისხის შიდა შემოწმების გეგმა-კონკრეტული დროისთვის დაგეგმილი ხარისხის შიდა შემოწმების ერთობლიობა;**
- 3) **ხარისხის შიდა შემოწმების(აუდიტი)-ხარისხის შიდა შემოწმების (აუდიტს) სისტემატიური და მოუკიდებელი პროცესი ჩატარებული მუშაობის პროცესის ხარისხის სისტემასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;**
- 4) **ხარისხის შიდა შემოწმების კრიტერიუმები-პოლიტიკის,პროცედურებისა ან მოთხოვნების ერთობლიობა რომლებიც გამოიყენება მითითებების სახით;**
- 5) **ხარისხის შიდა შემოწმების დამოწმება-ხარისხის შიდა შემოწმების კრიტერიუმებთან დაკავშირებული საკონტროლო ფურცლები,ჩანაწერები,ინფორმაციისა ან ფაქტების ჩამონათვალი რომელიც ექვემდებარება შემოწმებას;**
- 6) **ხარისხის სამსახური** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური;
- 7) **ხარისხის სამსახურის უფროსი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- 8) **ხარისხის სისტემის აუდიტორი-სპეციალისტი რომელმაც გაიარა შესაბამისი მომზადება და გააჩნია შიდა აუდიტორის დამადასტურებელი მოწმობა/სერტიფიკატი;**
- 9) **ხარისხის შიდა შემოწმების შედეგები-შიდა შემოწმების მასალების გადახედვის შემდეგ აუდიტორთა ჯგუფის მიერ წარდგენილი,შიდა შემოწმების შედეგების მონაცემები,გაფორმებული შესაბამისი ანგარიშის დოკუმენტების სახით;**
- 10) **ხარისხის გაუმჯობესება-ხარისხის მენეჯმენტის ნაწილი მიმართული მოთხოვნათა ხარისხის გაუმჯობესებისაკენ**
- 11) **განკარგულება** - დირექტორის მიერ გაცემული ბრძანება
- 12) **პსდ-ს თვითშეფასება** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

3.2 შემოკლებები



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment

1. ბუსსს ანრი (სასწავლებელი) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2. ISO-სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
3. ხმს - ხარისხის მართვის სისტემა;
4. ნდ-ნორმატიული დოკუმენტი;
5. პსდ - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება
6. მასწავლებელი - პროფესიული განათლების მასწავლებელი

4. ხარისხის შიდა შემოწმების დაგეგმვის პროცესი


ხარისხის შიდა შემოწმების დაგეგმვის მიზანია დადგინდეს მოცულობა, პერიოდულობა და ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების ვადები.

4.1 შიდა შემოწმების დაგეგმვის პროცესისათვის საჭირო მონაცემები

4.1.1 შიდა შემოწმებათა დაგეგმვის განსახორციელებლად საჭიროა შემდეგი ინფორმაციის მიღება:

- 1) ბუსსს ანრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების წინადადებები
- 2) წინა შემოწმების მასალები
- 3) ბუსსს ანრის ადმინისტრაციის ანგარიში ხმს-ის ანალიზის შედეგები

ხარისხის შიდა შემოწმების პროცესის დაგეგმვის სქემა



4.2 შიდა შემოწმებათა დაგეგმვის პროცესით მართვა



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment

4.2.1 შიდა შემოწმებათა მოცულობა და პერიოდულობა დგინდება ISO 9001:2015 მოთხოვნების და დირექტორის ბრძანების შესაბამისად.

4.3 ხმს-ის შიდა შემოწმებათა დაგეგმვის მექანიზმი

- 4.3.1 ხმს-ის შიდა შემოწმებათა დაგეგმვა ხორციელდება ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ შემომავალი მონაცემების საფუძველზე;
- 4.3.1 ხარისხის სამსახურის უფროსი, 3 წელიწადში ერთხელ, შეიმუშავებს ხარისხის მართვის სისტემის ISO 9001:2015 სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შიდა შემოწმების ჩატარების გეგმა-გრაფიკს (**დანართი 1**);
- 4.3.2 ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების ჩატარების გეგმა-გრაფიკს ამტკიცებს დირექტორი;
- 4.3.3 ხმს-ის შიდა შემოწმებების პერიოდულობა და ვადები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ დირექტორის ბრძანებით;
- 4.3.4 არაგეგმიური და/ან ვადადღე ხმს-ის შიდა შემოწმება, ასევე შიდა შემოწმების გადავადება შესაძლებელია ბუსსს ანრის დირექტორის ბრძანებით.

4.4 ხარისხის შიდა შემოწმების დაგეგმვის პროცესის გამომავალი მონაცემები

- 4.4.1 დადგენილია:
 - ხმს-ის შიდა შემოწმება ტარდება ბუსსს ანრის ყველა სტრუქტურულ ერთეულში;
 - ხმს-ის შიდა შემოწმების პერიოდულობა დადგენილია 6 თვეში ერთხელ, თუმცა სავალდებულოა წელიწადში ერთი შიდა შემოწმების ჩატარება და დირექტორის განკარგულებით შესაძლებელია წლის მეორე დაგეგმილი შიდა შემოწმება არ ჩატარდეს თუ არ არის შემოწმების ჩატარების აუცილებლობა.

5. ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების ჩატარების პროცესი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების ჩატარების მიზანია დადგინდეს, რომ ხმს:

- 1) შეესაბამება ISO 9001:2015 ხმს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს;
- 2) დოკუმენტებისა და პროცესების მართვა, საქმისწარმოება შეესაბამება ბუსსს ანრიში დადგენილ რეგულაციებს;
- 3) ხმს დანერგილია, ეფექტურია და შენარჩუნებულია მუშა მდგომარეობაში.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment

ხარისხის შიდა შემოწმებათა ჩატარების სქემა



5.1 ხარისხის შიდა შემოწმების დაგეგმვის პროცესის შემომავალი მონაცემები

5.1.1 ხარისხის სისტემის შიდა შემოწმების ჩატარებისთვის საჭიროა შემდეგი ინფორმაციის მიღება:

- 1) ბუსსს ანრის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შესახებ;
- 2) ყოველდღიურ მუშაობაში და ადრე გამოვლენილ შეუსაბამობების შესახებ;
- 3) მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედების შესახებ;
- 4) პრეტენზიებისა და აპელაციების შესახებ;
- 5) ხსმ-ის ანალიზის ანგარიშის შესახებ;
- 6) შიდა აუდიტორების შესახებ

5.2 ხარისხის შიდა შემოწმების ჩატარების პროცესის მართვა

5.2.1 ბუსსს ანრიში ხარისხის შიდა შემოწმება ტარდება გეგმით დადგენილ პერიოდებში და განსაზღვრულ ვადებში, თუმცა დირექტორის განკარგულებით დაშვებულია შიდა შემოწმების ვადამდე ჩატარება ან გადავადება;

5.2.2 შიდა შემოწმება უნდა მოიცავდეს ყველა ფუნდამენტალურ პროცესებს;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა**

**The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment**

5.2.3 შიდა აუდიტორების ჯგუფი შედგება ხმს-ის შიდა აუდიტორებად სერტიფიცირებული პერსონალისგან.

5.2.4 შემოწმების შედეგების გასაფორმებლად გამოიყენება ბუსსს ანრის მოქმედი ფორმები (დანართები 2, 3, 4, 5, 6, 7, 8).

5.3 ხარისხის სისტემის ჩატარების მექანიზმი

5.3.1 ორგანიზაცია

- 1) ხმს-ის შიდა შემოწმება ტარდება შიდა აუდიტორების მიერ;
- 2) შიდა აუდიტორები აირჩევა ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ;
- 3) შიდა შემოწმების წინ ხარისხის სამსახურის უფროსი შეიმუშავებს შემოწმების პროგრამას, რომელსაც ეცნობა სენატი და ამტკიცებს დირექტორი (იხ.დანართი 2)
- 4) შიდა აუდიტორებმა არ უნდა შეამოწმონ თავიანთი სტრუქტურული ერთეულები და მათ მიერ წარმოებული საქმეები.
- 5) ხმს-ის შიდა შემოწმებისთვის გამოიყენება საკონტროლო კითხვარი (ჩეკ-ლისტები) (დანართი 3). კითხვარი შეიძლება იყოს შემუშავებული სასწავლებლისთვის ერთი საერთო ან ცალკეული ყველა სტრუქტურული ერთეულის შესამოწმებლად.

5.3.2 ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების ჩატარება

- 1) სტრუქტურულ ერთეულებს წინასწარ ეგზავნებათ ხმს-ის შიდა შემოწმების შესახებ დირექტორის ბრძანება და პროგრამა;
- 2) შიდა შემოწმებისას ხდება შესამოწმებელი სტრუქტურული ერთეულის პერსონალთან გასაუბრება, მუშაობის პროცესში გამოყენებული ფორმების, დოკუმენტების, ანგარიშის დოკუმენტების შემოწმება შიდა შემოწმების საკონტროლო ფურცელის მიხედვით;
- 3) აუდიტორები შემოწმებას ადასურებენ ყოველი შემოწმებული საქმის პერიოდული შემოწმების ფურცელზე ხელმოწერით;
- 4) შემოწმების ყოველი დღის ბოლოს აუდიტორები ატარებს დახურულ სხდომას მთავარ აუდიტორთან და განიხილავს დღის შედეგებს;
- 5) შიდა შემოწმების დაკვირვებები შეიძლება მიუთითებდეს შესაბამისობაზე, შეუსაბამობაზე, რეკომენდაციის გაწევაზე, ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების კრიტერიუმების მიხედვით;
- 6) შემოწმების დასრულების შემდეგ მთავარი აუდიტორი აკეთებს შემაჯამებელ შედეგებს შემოწმების მიხედვით-კერძოდ შიდა შემოწმების გამომავალ მონაცემებს;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა**

**The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment**

- 7) შიდა შემოწმება მთავრდება შემაჯამებელი, დასკვნითი შეხვედრით, სადაც დირექტორის და შემოწმებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები / პერსონალი ეცნობა ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების მიგნებებს, შიდა შემოწმების აქტების და ანგარიშის (დანართი 6) გაფორმებამდე;
- 8) დირექტორის განკარგულებით შიდა შემოწმების მსვლელობისას აუდიტორები ამოწმებენ საქმისწარმოების პროცესებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზას;
- 9) საქმისწარმოების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება უნდა იყოს დოკუმენტალურად უზრუნველყოფილი.

5.4 ანგარიშის დოკუმენტების გაფორმება ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების შედეგების მიხედვით

შიდა შემოწმების შედეგების გასაფორმებლად გამოიყენება დოკუმენტები რომელთა ფორმებიც მოცემულია არსებული პროცედურის დანართებში:

- 1) ხარისხის შიდა შემოწმების საკონტროლო კითხვარი (ჩეკ-ლისტი)(იხ.დანართი 3);
- 2) აქტი ხარისხის სისტემის შემოწმების შედეგად აღმოჩენილი შეუსაბამობის, წარმოდგენილი რეკომენდაციის და მათი აღმოფხვრისათვის და შესრულებისთვის მაკორექტირებელი ქმედებების შესახებ (დანართი 4);
აქტს ენიჭება ნომერი, რომელიც შედგება ციფრთა ორი ჯგუფისაგან, რომელიც გამოყოფილია დახრილი ხაზით (წილადით), მაგალითად: 003/21, აქედან
 - ✓ პირველი ჯგუფი სედგება სამი ციფრისგან და აღნიშნავს შეუსაბამობის აქტის რიგით ნომერს;
 - ✓ მეორე ჯგუფი შედგება ორი ციფრისგან, რომელიც მიუთითებს მიმდინარე წელიწადის ბოლო ორ ციფრს.

აქტში აღინიშნება მაკორექტირებელი ქმედების ვადა, რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში (დანართი 7) და ეგზავნება შემოწმებული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

- 3) ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების საერთო აქტი (დანართი 5);
- 4) ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების ანგარიში (დანართი 6).

5.5 ხარისხის შიდა შემოწმების შედეგების გაპროტესტება



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

**The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment**

- 1) თუ შემოწმებული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი / თანამშრომელი არ ეთანხმება შემოწმების შედეგებს, მას შეუძლია პრეტენზიით მიმართოს ხარისხის სამსახურის უფროსს, წარადგინოს არგუმენტირებული პოზიცია;
- 2) პრეტენზია დარეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში;
- 3) ხარისხის სამსახური განიხილავს არგუმენტირებულ პოზიციას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;
- 4) ხარისხის სამსახურის მხრიდან პრეტენზია დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, შემოწმებული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს / თანამშრომელს შეუძლია მიმართოს დირექტორს;
- 5) დირექტორის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო.

6. საქმეთა მართვის, წარმოების პროცესების შემოწმება

6.1 საქმეთა შემოწმების ჩატარების ძირითადი მიზნებია:

საქმეთა მართვის, წარმოების შემოწმება არის ხმს შიდა შემოწმების განუყოფელი ნაწილი. საქმეთა შემოწმება მიმდინარეობს იმის დასამტკიცებლად, რომ საქმეთა წარმოება, მართვა და შენახვა უზრუნველყოფს:

- 1) ანგარიშის დოკუმენტების მართვისა და შენახვის ერთსახოვნებას;
- 2) შესანახი დოკუმენტების მართებულ მართვას;
- 3) საქმეებში შენახული დოკუმენტებისა და საქმეების დაზიანებებისგან დაცვას;
- 4) არაკომპეტენტური პირებისგან საქმეთა დაცვას.

6.2 შემოწმების ჩატარების პირობები და პერიოდულობა

- 1) საქმეთა წარმოების, მართვის და შენახვის პროცესის შემოწმება ხორციელდება წელიწადში არა ნაკლებ ერთისა (საჭიროებისამებრ მეტჯერ), ხმს შიდა შემოწმების დროს, ან სხვა დროს დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
- 2) საქმეთა შემოწმების პროცესები მიმდინარეობს ხმს შიდა შემოწმების პროცესების დაცვით.

6.3 კონტროლისა და შემოწმების მოცულობა და ჩატარების თანმიმდევრობა

- 1) კონტროლს ექვემდებარება ბუსსს ანრის საქმეთა ნომენკლატურაში შესული საქმეები;
- 2) არჩევით შემოწმებებს ექვემდებარება საქმეები ბუსსს ანრის ნომენკლატურის თანახმად;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა**

**The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment**

3) საქმეთა წარმოების, მართვის და შენახვის პროცესის კონტროლი გულისხმობს შემდეგი შემოწმებების ერთობლიობას:

- ✓ საქმეთა შენახვაზე პასუხისმგებელი პერსონალის დანიშვნის ფაქტი;
- ✓ დადგენილი საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით საქმეთა იდენტიფიკაცია;
- ✓ საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით საქმეთა არსებობა;
- ✓ საქმეთა არქივში გადაცემის ან გაუქმების თანმიმდევრობის დაცვა;
- ✓ წინა შემოწმების შენიშვნების აღმოფხვრა;
- ✓ საქმეთა წარმოების, შენახვის მიკვლევადობა და ა.შ.

6.4 საქმეებში დოკუმენტების თანმიმდევრობის დაცვის შემოწმება

საქმეებში დოკუმენტების თანმიმდევრობის დაცვის შემოწმების დროს ხდება საქმეში არსებული დოკუმენტების გადახედვა და მოთხოვნებზე შესაბამისობის შეფასება, მათ შორის:

- 1) ხდება საქმეში დოკუმენტთა მართებულობის შემოწმება (კერძოდ კი, საქმეში უნდა ინახებოდეს დოკუმენტები, რომლების ეხება უშუალოდ იმ საკითხს, რომლისათვისაც არის შექმნილი საქმე) (დოკუმენტი, რომელიც არ ექვემდებარება შენახვას, ამოღება საქმიდან და დაიგზავნება სხვა საქმეში);
- 2) ხდება საქმეში დოკუმენტთა კომპლექტურობის შემოწმება (დოკუმენტის მთლიანობა, ყველა საჭირო დანართის არსებობა, ან დოკუმენტზე მითითება თუ სად ინახება მასში აღნიშნული დანართი);
- 3) მოწმდება დადგენილი რიგითობით დოკუმენტის გაფორმება და უფლებამოსილი პირის მიერ დოკუმენტის შემოწმების აღნიშვნა საქმეში ჩაკვრამდე;
- 4) ხდება დოკუმენტთა გადახარისხიება არქივში გადასაცემად ან გასაუქმებლად.

6.5. მოქმედებები შემოწმების შედეგების მიხედვით

- 1) შემოწმების შემდეგ მთავარი აუდიტორი ადგენს საქმეთა შემოწმების აქტებს ყველა შემოწმებულ სტრუქტურულ ერთეულზე (**დანართი 8**);
- 2) შენიშვნები აღმოჩენილი საქმეთა შემოწმების დროს აღინიშნება აქტის მე-3 პუნქტში რეკომენდაციის სახით, შესრულების ვადის მითითებით;
- 3) შემოწმების შედეგად საქმეთა შემოწმების აქტს ადგენს ხარისხის სამსახურის უფროსი, ამტკიცებს დირექტორი; კონტროლს რეკომენდაციების დადგენილ ვადაში შესრულებაზე აწარმოებს ხარისხის სამსახურის უფროსი ან ხარისხის სპეციალისტი;
- 4) საქმეთა შემოწმების აქტი რეგისტრირდება შესაბამის ჟიურნალში;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა**

**The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment**

- 5) შემოწმების შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობა შეიძლება ასევე გაფორმდეს აქტით ხარისხის სისტემის შემოწმების შედეგად აღმოჩენილი შეუსაბამობის, წარმოდგენილი რეკომენდაციის და მათი აღმოფხვრისათვის და შესრულებისთვის მაკორექტირებელი ქმედებების შესახებ (დანართი 4);
- 6) ყოველ საქმეს გააჩნია საქმეთა პერიოდული შემოწმების ფურცელი, რომელიც შემოწმების შემდეგ ივსება შემოწმებული პირის მიერ (ყოველ შემოწმებულ საქმეში).
- 7) შემოწმების შედეგად გაფორმებული აქტები დაეგზავნება საქმეთაწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს (აქტის ორიგინალზე საქმეთაწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი აწერს ხელს, რის შემდეგს მას გადაეცემა სესანახად აქტის ასლი, ხოლო ორიგინალი ინახება ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში).
- 8) ბუსსს ანრის საქმეთაწარმოებაზე პასუხისმგებელი პერსონალი ღებულობს აქტიურ მონაწილეობას შეუსაბამობების აღმოფხვრის ღონისძიებებში.
- 9) შესაბამობის ვადამდე აღმოფხვრის შემთხვევაში საქმეთაწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი (პირი, რომელსაც დაეგზავნა აქტი) ანგარიშის სახით, წერილობითი ფორმით, აცნობებს ხარისხის სამსახურის უფროსს აღმოფხვრის შესახებ; ხარისხის სამსახურის უფროსი ან ხარისხის სპეციალისტი ახდენს გადამოწმებას და შეუსაბამობის აღმოფხვრას აღნიშნავს შესაბამის აქტში.

7. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია

7.1 ვერიფიკაციის პროცედურა, მიმართულებები და პრინციპები

- 1) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამის) დანერგვის წარმატებით განხორციელების პროცესის უზრუნველსაყოფად საჭიროა მუდმივი მონიტორინგი, რომლის მიზანია: მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება.
- 2) ვერიფიკაციის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზანია, სწორად წარიმართოს პროგრამების განვითარებაზე მიმართული საქმიანობა.
- 3) ვერიფიკაცია არის ხარისხის შიდა შემოწმების სისტემა, რომელსაც ახორციელებენ შიდა შემოწმებლები - ვერიფიკატორები, პროგრამის ფარგლებში და რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ შეფასებები იყოს სწორი, ხოლო შეფასების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ზუსტი.
- 4) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment

5) ვერიფიკაცია წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგების/მტკიცებულებების თავსებადობა-შესაბამისობისა და ავთენტურობის დადგენის აღიარების მექანიზმს (შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი). ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების პროცესი რომელიც ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი. ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული – გადაწყვეტილებები-ზუსტი.

ვერიფიკაცია არის ორგვარი: შიდა და გარე.

☞ შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს იმავე მოდულის სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი.

☞ გარე ვერიფიკაცია (შემოწმება) არის ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც გამოიყენება იმის დამადასტურებლად, რომ ყოველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ნერგავს პროფესულ მოდულებს, შეფასებას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული მოდულების სპეციფიკაციის მიხედვით. გარე შემოწმებლის (ვერიფიკატორის) ფუნქციაა შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცედურების შეფასება.

6) ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ✓ შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);
- ✓ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
- ✓ ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;
- ✓ ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ).

7) ვერიფიკაციის მიმართულებებია:

- ✓ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
- ✓ შეფასების პროცესის ვერიფიკაცია
- ✓ შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

8) შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ✓ ვალიდურობას;
- ✓ სანდოობას;
- ✓ მოქნილობას;
- ✓ სიმარტივეს;
- ✓ მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment

9) ვალიდურობა

- ✓ ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი.
- ✓ შეფასება ვალიდურია, როცა:
 - ☞ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს.
 - ☞ შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები. მაგალითად პრაქტიკული უნარის შესამოწმებლად ოფის მენეჯერისთვის ოქმის ან CV-ს შედგენა ვალიდური ინსტრუმენტია, თუმცა CV-ის ან ოქმის შედგენის წესის გამოკითხვა პრაქტიკული უნარის შესაფასებლად არ არის ვალიდურია; პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები; — საშუალებას აძლევს ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნეს სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილებები ნებისმიერ სტუდენტთან მიმართებით.

10) სანდოობა - სანდოა შეფასება, თუ:

- ✓ შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს.
- ✓ გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
- ✓ ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- ✓ უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.

11) მოქნილობა - მოქნილი შეფასება იძლევა საშუალებას პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და შეფასების ადგილი, თუმცა გამორიცხავს რომელიმე პროფესიული სტუდენტისთვის პრივილეგიების მინიჭებას.

12) სიმარტივე - შეფასების სიმარტივე გულისხმობს, შეფასების ინსტრუმენტები ადვილად გასაგებია და მისი გამოყენება შეუძლია პროცესში ჩართულ ყველა პირს და ყველა სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმის მისი შინაარსი. სიმარტივე არ ნიშნავს იმას, რომ მტკიცებულებებიდან რომელიმე იყოს უგულებელყოფილი.

13) მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - მიუკერძოებელი და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა**

**The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment**

ნებისმიერი სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი სტუდენტისათვის. მნიშვნელობა არ აქვს შეფასება ხორციელდება წერიტი გამოცდის, ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, კომპიუტერული ტესტისა თუ სხვა საშუალებებით, პრინციპები მაინც იგივე რჩება.

7.2 შეფასების ინსტრუმენტები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევს შესაბამის შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ს.

პროგრამის განმახორციელებელ პირს არ შეუძლია განახორციელოს თავისივე შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის ჯგუფს საშუალება აქვს სამუშაო პროცესში მოიწვიოს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი/დარგის წარმომადგენ(ლ)ე(ბ)ი.

7.3 შეფასების ტიპები და მიმართულებები

გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევის დონეს მოდულური პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, თუმცა ის არ აისახება განმსაზღვრელ შეფასებაზე. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

1) შეფასების მიმართულებებია:

✓ პროცესზე დაკვირვება;

✓ გამოკითხვა (აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური - უნარები).

2) პროცესზე დაკვირვება პროფესიული განათლების მასწავლებელი აკვირდება პროფესიული სტუდენტის მუშაობას პროფესიული სტანდარტით (პროგრამით/მოდულით) განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში. დაკვირვება ხორციელდება სამუშაო ადგილზე, დაწესებულებაში არსებულ ლაბორატორიაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც პროფესიული პირი პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა. პროფესიული განათლების მასწავლებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს დაკვირვების პროცესი, იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორად იყენებს პროფესიული პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა**

**The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment**

შედეგის მისაღწევად. პროცესზე დაკვირვების დროს მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, სტუდენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით.

- 3) გამოკითხვა - ძირითადად აკადემიური უნარების (კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური) შესაფასებლად გამოიყენება. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა საჭიროა პროფესიული სტუდენტის ცოდნის, აღქმისა გაგების, მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა, სინთეზის და შეფასების უნარების განსაზღვრა. მტკიცებულებად შეიძლება წარმოდგენილ იყოს, მაგალითად, პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული ტესტი. პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს და გადაწყვიტოს, აითვისა თუ არა პროფესიულმა სტუდენტმა მოდულის სწავლის შედეგებით მოთხოვნილი ცოდნა და უნარები.
- 4) წარმოდგენილ მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.
- 5) სავალდებულოა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

7.4 რისკების სისტემა

დაწესებულება ითვალისწინებს რისკების სისტემას, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს, კერძოდ: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით); პრაქტიკული დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება; მოდულის ფარგლებში გადაბარების არარსებობა და სხვა.

რისკების რეესტრში ასახული გარემოებები ყველა არის რისკ-ფაქტორი, უბრალოდ მათ შორისაც არსებობს განსხვავებები. არის რაღაც გარემოება, მაღალი რისკის მქონე ან საშუალო რისკის მქონე და ა.შ.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

7.5 ვერიფიკაციის პროცესი

7.5.1 შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა**

**The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment**

- 1) კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება შევიდეს:
 - ა) ხარისხის სამსახურის უფროსი;
 - ბ) პროგრამის ხელმძღვანელი;
 - გ) დარგის სპეციალისტ(ებ)ი (მისაღებია როგორც დასაქმებული პერსონალიდან შერჩეული დარგის სპეციალისტი ასევე მოწვეული)შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის რომელიმე წევრის ინტერესთა კონფლიქტს არ იწვევს ვერიფიკაციის ობიექტი.
ვერიფიკაციის ჯგუფს საშუალება აქვს სამუშაო პროცესში მოიწვიოს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი/დარგის წარმომადგენ(ლ)ე(ბ)ი.
- 2) შიდა ვერიფიკაციის ჯგუფს ჰყავს ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელმაც უნდა განახორციელოს შემდეგი ამოცანები:
 - ა) შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრთა და მოდულის განმახორციელებელი პირების აქტივობების კოორდინირება;
 - ბ) მონიტორინგის პროცესის კითხვარების შეგროვება და ანალიზი;
 - გ) შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დსკვნის მომზადება.
- 3) შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმას (დასაშვებია გეგმის ბეჭდურად შევსება) (**იხ.დანართი 10**), რომლის თანახმად შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ განხორციელებული თითოეული აქტივობა ფორმდება ოქმის სახით (შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრის ოქმი), რომელსაც ხელს აწერს შიდა ვერიფიკაციის ყველა წევრი.

7.5.2 შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის ამოცანები.

შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის ამოცანებია:

- ა) შიდა შეფასების ჩატარება, ხარისხის სისტემის უზრუნველყოფა და შეფასება; პროცესში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის კითხვარების შევსება (**იხ.დანართი 11**)
- ბ) შემფასებლებისთვის დახმარების გაწევა და სათანადო მიმართულებების უზრუნველყოფა;
- გ) შემფასებლების მუშაობის ხარისხის მონიტორინგი;
- დ) ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ე) კითხვარის შეგროვება და შეგროვებული მონაცემების ანალიზი;
- ვ) შეფასების ინსტრუმენტების ავთენტურობის, ვალიდურობის და საიმედოობის შემოწმება;
- ზ) შემფასებლების კონსულტირება: რჩევები შეფასების პროცედურასთან/ინსტრუმენტებთან მტკიცებულებებთან დაკავშირებით;
- თ) შემფასებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ი) პერსონალის განვითარების დაგეგმვა;
- კ) პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების ანალიზი;
- ლ) გარე ვერიფიკაციის ჯგუფთან თანამშრომლობა.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment

7.6 შიდა ვერიფიკაციის პროცესი

ეფექტური შიდა შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს სამ ეტაპს:

- ☞ ეტაპი 1: შეფასებამდელი
- ☞ ეტაპი 2: შეფასების პროცესი
- ☞ ეტაპი 3: შეფასების დასრულების შემდეგ.

ეტაპი 1:

შეფასების დაწყებამდე ვერიფიკატორი (შიდა შემოწმებელი) ადასტურებს, რომ შემოთავაზებული შეფასების მექანიზმები და რესურსები დამაკმაყოფილებელია და რომ ყველა ქმედება, რომელიც საჭიროა "შეფასების შემდგომი" ეტაპისთვის (ეტაპი 3), განხილულია. შეფასების ჩატარებამდე იმართება შეხვედრა შესაბამისი საკითხების განხილვის მიზნით. შეხვედრისას, პროგრამის სრული შეფასების პროცესში, შიდა ვერიფიკატორები და მოდულის მასწავლებლები განიხილავენ და საჭიროების შემთხვევაში ცვლიან შიდა შემოწმების გეგმას. ეს გეგმა მოიცავს შიდა ვერიფიკაციას, შერჩევის საკითხსა და ვერიფიკატორებთან დაგეგმილ შეხვედრებს. მოდულის/კვალიფიკაციის შემოწმების გეგმა მოიცავს ვერიფიკაციის პრიორიტეტებს:

- ? მასწავლებელი მოდულის შეფასებას პირველად ატარებს თუ არა?
- ? ბოლო ვიზიტის დროს გარე შემოწმებლებს (ვერიფიკატორებს) ჰქონდათ თუ არა რაიმე შენიშვნა მოდულთან დაკავშირებით;
- ? რომელ მოდულში ინერგება შეფასების ახალი მიდგომა.

შეფასებამდელი ნუსხა და შეფასებამდელი შეხვედრა ისახება სწავლის შედეგის შეფასებამდე შესავსები ფორმაში (იხ. დანართი 12), დასაშვებია ფორმის ბეჭდურად შევსება. ფორმა არის შემფასებელი სამმშაო მტკიცებულება და არ საჭიროებს ამობეჭდილი ვერსიით შენახვას. შიდა შემოწმებელი (ვერიფიკატორი) ავსებს შეფასებამდელ ფორმას და ადასტურებს რომ შეფასებამდელი პროცედურები დამაკმაყოფილებელია. ჩანაწერი მოიცავს ინფორმაციას ამგვარი ქმედების შესახებ.

ეტაპი 2:

მოდულის შეფასების პროცესში, ვერიფიკატორი არჩევს შეფასების ნიმუშებს და განიხილავს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ გაკეთებულ შეფასებებს. ვერიფიკატორი აკეთებს ჩანაწერს შერჩევის თითოეული აქტივობისათვის (შეფასების სისტემის ვერიფიკაციის კითხვარების შევსება (იხ. დანართი 11)), რომელიც საშუალებას აძლევს ვერიფიკატორს უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების,
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, პსდ-ს თვითშეფასების
პროცესების მართვის პროცედურა

**The procedure for managing the processes of quality management system internal audits, verification of the
valuation system, case audits and professional educational institution's self-assessment**

(შემფასებლისათვის) უკუკავშირი და დეტალურად წერს ყველა საჭირო აქტივობას, რომელსაც ადასტურებს ხელმოწერით.

